საიდ. N73715 /03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №136-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ი. მუღალაშვილი ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,პანდა რესტორანტ გრუპ, ინკ., კალიფორნიის შტატის კორპორაცია" (Panda Restaurant Group, Inc., a California Corporation) (მის.:1683 ვოლნატ გროუვ ავენიუ, როუზმიდი, კალიფორნიის შტატი 91770, აშშ ; 1683 Walnut Grove Avenue, Rosemead, California 91770) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №136-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ივნისის №625/03 ბრძანების ბათილად ცნობა

და სასაქონლო ნიშნის ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD“ (საიდ. №73715/03) რეგისტრაცია საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე და 35-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ივნისის №625/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი, კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD" მსგავსია ,,ვვფ-უოლდ უაიდ ფანდ ფორ ნეიჩა“ (ყოფილი ,,უოლდ უაილდლაიფ ფანდ“) სახელზე რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნებისა: ,,PANDA“ (რეგ. N4850, რეგ. თარიღი: 28/03/97წ.) 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, ,,PANDA“ (რეგ. N4848, რეგ. თარიღი: 28/03/97წ.) 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლისათვის და გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისა (რეგ. N4851, რეგ. თარიღი: 28/03/97წ.) 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ იდენტური სიტყვიერი ჩანაწერი ,,PANDA“. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს არ აქვთ გამოსახულებითი ელემენტი, ამ ორივე სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ელემენტს მთლიანად მოიცავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი. ამასთან, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებითი სიტყვიერი ელემენტების ,,EXPRESS“, ,,GOURMET“, ,,CHINESE“ და ,,FOOD“ არსებობა, არ სძენს სასაქონლო ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას და შესაბამისად, არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის მწარმოებლის მიმართ. რაც შეეხება დაპირისპირებულ გამოსახულებით სასაქონლო ნიშანს, (რეგ. N4851), მისი გამოსახულება, განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტის მსგავსია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ, კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD", „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ნაწილობრივ ეთქვა უარი რეგისტრაციაზე განცხადებული 30-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს სასაქონლო ნიშნის ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD & design” (საიდ. №73715/03) 30-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალისათვის საქართველოში რეგისტრაციაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისიწინებული უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი თვლის, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნებისაგან, ვიზუალურად და ჟღერადობით. აღნიშნული განსხვავება, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული საქონლის მწარმოებელთა და მომსახურების მომწოდებელთა ერთმანეთში აღრევა. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შედგება ორი კონცენტრული წრეწირისაგან. გარე და შიდა წრეწირებს შორის მოთავსებულია სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD”, რომელიც შედგება ხუთი სიტყვისაგან. შიდა წრეწირში მოთავსებულია დათუნია - პანდას გამოსახულება.

დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები ,,PANDA” (რეგ. N4850) და ,,PANDA” (რეგ. N4848) ერთსიტყვიანია. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი კი ხუთი სიტყვისაგან შედგება, რომელთაგან ორი - ,,PANDA EXPRESS”, მოთავსებულია რკალისებურად დათუნიას გამოსახულების ზემოთ, ხოლო მეორე სამსიტყვიანი ნაწილი - ,,GOURMET CHINESE FOOD”, ასევე რკალისებურად, დათუნიას გამოსახულების ქვემოთ. როგორც დამატებითი ოთხი

სიტყვის, ასევე დათუნია პანდას გამოსახულების არსებობა, მნიშვნელოვნად ზრდის განსხვავებას განცხადებულ სასაქონლო ნიშანსა და დაპირისპირებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს შორის. აპელანტი თვლის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ანიჭებს ისეთი დონის განმასხვავებლობას, რომ არ მოხდება მომხმარებლის მიერ განცხადებული და დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელი და მომსახურების მომწოდებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა.

აპელანტს ასევე მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნების 30-ე და 35-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი არაერთგვაროვანია. განცხადებული სასაქონლო ნიშნის 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალში შეტანილია მზა კვების პროდუქტები, კერძები და მსუბუქი საუზმე, და ამასთან დაკონკრეტებულია პროდუქტები, რომლისგანაც ეს კერძები და მსუბუქი საუზმე მზადდება. დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი კი, წარმოდგენილია ამ კლასის სათაურის სახით და არის ზოგადი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი ასევე სპეციფიკურია და ეხება კონკრეტული სახის მომსახურებას, კერძოდ, ფრენჩაიზინგს - რესტორნების გახსნისა და მათი მუშაობის მართვის სფეროში. დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი კი, დაკავშირებულია სამარკეტინგო კვლევასა და ბაზრის ანალიზთან, რეკლამასა და სარეკლამო მომსახურებასთან.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებთი ელემენტების მსგავსებას, აპელანტის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, წარმოადგენს დათუნია პანდას გამოსახულებას, რომელიც მოძრავ მდგომარეობაშია აღბეჭდილი. ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი, შეიცავს დათუნია პანდას სხეულის წინა ნაწილს, კერძოდ თავს და ორ წინა თათს. ეს გამოსახულება მოთავსებულია შიდა წრეწირში, რომელიც ზამბარის ხვეულასავით არის დახვეული. ამასთან, დათუნია პანდასა და ამ ხვეულას კომბინაცია წრიული

ხვეულადან გამომზირალი პანდას შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაბამისად, აპელანტს მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტებიც იმდენად განსხვავებულია, რომ არ მოხდება სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელი და მომსახურების მომწოდებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა.

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის ინფორმაცია, შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების სასაქონლო ნიშნებისა და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის (ROMARIN) საძიებო ბაზებიდან, საიდანაც ირკვევა, რომ როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, რეგისტრირებულია შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყებაში და უპრობლემოდ თანაარსებობენ ევროკავშირის ქვეყნებში.

აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელის ,,ვვფ-უოლდ უაიდ ფანდ ფორ ნეიჩა“ (ყოფილი უოლდ უაილდლაიფ ფანდ) მიერ გაცემული თანხმობის წერილის ასლი, განცხადებული სასაქონლო ნიშნის ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD“ (საიდ. №73715/03) საქართველოში რეგისტრაციასა და გამოყენებაზე 29-ე, 30-ე, 35-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD & design” (საიდ. №73715/03) 30-ე და 35-ე კლასებში რეგისტრაციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო პალატის კოლეგია, თვლის, რომ განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD“ (საიდ. №73715/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ,,PANDA“ (რეგ. N4850)

და ,,PANDA“ (რეგ. N4848, რეგ. თარიღი: 28/03/97წ.) აღრევამდე მსგავსია. მსგავსია ასევე განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი და დაპირისპირებული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (რეგ. N4851).

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად და ფონეტიკურად.

მიუხადავად იმისა, რომ განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ხუთი, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, ერთი სიტყვიერი ელემენტისაგან, ძირითადი დატვირთვა მოდის სწორედ სიტყვაზე ,,PANDA“. როგორც რეგისტრირებული, ისე განცხადებული სასაქონლო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალისათვის, სიტყვიერ ელემენტს ,,PANDA“ აქვს ფანტაზიური მნიშვნელობა, რაც შეეხება განცხადებულ, კომბინირებულ სასაქონლო ნიშანში დამატებითი სიტყვიერი ელემენტების - ,,EXPRESS“, ,,GOURMET“, ,,CHINESE“ და ,,FOOD“ არსებობას, მათი შინაარსიდან გამომდინარე, კოლეგიის აზრით, ისინი არ წარმოადგენენ, სასაქონლო ნიშნის დაცვისუნარიან ელემენტებს. სიტყვიერი ელემენტები ,,სწრაფი“, ,,გურმანი“, ,,ჩინური“ და ,,საკვები“ არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითია განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნის როგორც საქონლის, ისე მომსახურების მიმართ. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მომხმარებელზე მოახდენენ განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას და მიაჩნია, რომ პირიქით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში სიტყვიერი ელემენტი ,,PANDA“, გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, როგორც საქონლის მწარმოებლის, ისე მომსახურების მომწოდებელი კომპანიის მიმართ.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებით ელემენტებს, ორივე შემთხვევაში სახეზეა პანდის გამოსახულება, რომელიც შესრულებულია შავ-თეთრ ფერებში. სააპელაციო პალატის კოლეგია, ვერ გაიზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ

დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში გამოსახულებითი ელემენტი არის მოძრაობაში მყოფი, დათუნია პანდას გამოსახულება, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი, შეიცავს დათუნია პანდას სხეულის წინა ნაწილს, კერძოდ თავს და ორ წინა თათს. სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტი არის შავ-თეთრ ფერში შესრულებული პანდა და აღნიშნული გამოსახულებებიდან არ ირკვევა პანდა მოძრაობაშია თუ არა და ასევე პანდის რომელი ნაწილი არის წინა პლანზე წამოწეული. კოლეგია თვლის, მსგავსია ის საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე.

სააპელაციო პალატის კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი.

განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნის 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს: ,,მზა კერძები და მსუბუქი საუზმე, რომელიც ძირითადად შედგება ბრინჯის, ატრიას, მარცვლეულის, ბურღულის და/ან სოუსებისგან; სოუსები; მდოგვი; საკმაზები, სანელებლები“. რაც შეეხება დაპირისიპირებული სასაქონლო ნიშნის ,,PANDA“ (რეგ. N4850) 30-ე კლასის ჩამონათვალს ის მოიცავს: ,,ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (ბურღული), საგო, ყავის შემცვლელები, ფქვილი და მარცვლეული პროდუქტები, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი, თაფლი, ბადაგის ვაჟინი, საფუარი, საცხობი ფქვილი, მარილი, მდოგვი, ძმარი, სოუსები (საწებლები, სალათის სოუსის გარდა), სანელებლები, საკვები ყინული“.

სააპელაციო პალატის კოლეგია, მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჩამონათვალი მსგავსია და კვეთს ერთმანეთს, კერძოდ: ,,მსუბუქი საუზმე, რომელიც ძირითადად შედგება ბრინჯის, ატრიას, მარცვლეულის, ბურღულის და/ან სოუსებისგან“ მოიცავს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, ვინაიდან მსუბუქი საუზმე მოიცავს ,,ყავას, ჩაის, კაკაოს, შაქარს“,

იდენტურია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შემდეგი ჩამონათვალი: ,,სოუსები; მდოგვი; საკმაზები, სანელებლები“.

მსგავსია ასევე განცხადებული სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების განცხადებული და დაპირსპირებული სასაქონლო ნიშნის ,,PANDA“ (რეგ. N4848) რეგისტრირებული მომსახურების ჩამონათვალი, კერძოდ: განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი მოიცავს: ,,ფრენჩაიზინგ - მომსახურებები, სახელდობრ ინფორმაციის შეთავაზება და დახმარების გაწევა რესტორნების გახსნასა და მათი მუშაობის მართვის სფეროში; საქმიანი რეკომენდაციები ფრენჩაიზინგთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, რესტორნებთან მიმართებაში; საქმიანი საკონსულტაციო მომსახურებები ფრენჩაიზინგთან დაკავშირებით. ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის, 35-ე კლასის მომსახურება მოიცავს: ,,სამარკეტინგო კვლევა და ბაზრის ანალიზი; მესამე პირთა (კომპანიების) საქმიანობის კონსულტაციები და მენეჯმენტი, რეკლამა და სარეკლამო მომსახურება“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული მომსახურების ჩამონათვალი, მათი შინაარსიდან გამომდინარე, კვეთს ერთმანეთს და შესაბამისად, კოლეგიის აზრით, გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისა და სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას, როგორც საქონლის მწარმოებელი, ისე მომსახურების გამწევი კომპანიების მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიის მიერ არ იქნა მხედველობაში მიღებული აპელანტის მიერ წარმოდგენილი, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელის ,,ვვფ-უოლდ უაიდ ფანდ ფორ ნეიჩა“ (ყოფილი უოლდ უაილდლაიფ ფანდ) მიერ გაცემული თანხმობის წერილის ასლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანს ,,PANDA EXPRESS GOURMET CHINESE FOOD &

design” (საიდ. №73715/03) უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე 30-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,პანდა რესტორანტ გრუპ, ინკ., კალიფორნიის შტატის კორპორაცია“ (Panda Restaurant Group, Inc., a California Corporation) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №136-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ივნისის №625/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ქ. კილაძე

ი. მუღალაშვილი